ქვირა, 18 ოქტომბერი 1915 წ. ფასი 10 კაპ.

ეშეკერი მათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 23

დაგა-სოფლად



ავადმყოფთა ჭირისუფლები. ბატონო უნდა წაგვყვე რამე ნაირად. ავადმყოფი უკანასკნელ მდგომარეობაშია.

ექიმი. მე ცხენით მთა-ღრეში სიარული არ შემიძლია. მოიყვანეთ ფაეტონი.

ჭირისუფლები. ფაეტონის გზა არა გვაქვს შე-

ნი ჭირიმე.

ექიმი. გზასაც მე ხომ ვერ გაგიკეთებთ. ყველა კულტურულ ქვეყანაში და ქალაქებშიაც გზებს აკეთებენ. ავათ გახთომა თუ იცით, გზის გაკეთებაზედაც უნდა იზრუნოთ. მე ათასჯერ მითქვამს, რომ რაღაც ქონიანი სამ მანეთიანისთვის თქვენს ჯახრიკას კისერს ვერ მოვატეხინებ და გულ-ღვიძლს ვერ ჩავაწყვეტინებ მეთქი. ყველა კულტურულ ქვეყნებში... (განმეორება მეორმოცე გზის).

—

ჩვეულებრივი ბოლო. ვიდრე ბ-ნი ექიმი გზების საჭიროებასა და კულტურის შესახებ ლექციას კითხულობს, მოდის მესამე გლეხი, რომელიც აცხადებს: ექიმი საჭირო აღარ არის, ვინაიდან ავადმყოფი გარდაიცვალაო.

როგორი უნდა იყოს მგოსანი ბალმონტის დღიური ქართველების შესახებ.

ოკეანე. 19... წელი. დიდი დაუდევარი ხალხი ვართ ჩვენ, რუსები! ვილაც ინგლისელი მოგზაური მოდის, ჰკრებს მარგალიტებს ჩვენი ქვეყნის გულიდან, რომ მით განამშვენიეროს თავისი სამშობლო, თავისი ისედაც მდიდარი მხარე ჩვენ კი...

—

ოკეანე... ღმერთო ჩემო, რა მარგალიტები!.. რა მშვენიერობა ყოფილა ეს „ვეფხის ტყაოსანი". ნუ თუ რუსის საზოგადოება არ უნდა იცნობდეს მას? ნუ თუ ჩვენი ქვეყნის მარგალიტებს ჩვენ უცხოთაგან უნდა ვითვისებდეთ?

—

ოკეანე... დღეს გადავსწყვიტე: როგორც კი რუსეთში დავბრუნდები, საქართველოს ვინახულებ. ჩემის თვალით ვნახავ იმ მშვენიერ ბუნებას, ლალსა და მომხიბლავს. ვნახავ და ახლოს გავიცნობ ამ ნიჭიერ ხალხს; იმ ხალხს, რომელმაც წარმოშვა ესოდენ ბუმბერაზი მგოსანი.

—

რუსეთი. მგონი შემისრულდეს ჩემი დიდი ხნის სურვილი. რაც უფრო ახლოს ვეცნობი ამ ინგლისურ თარგმანს, მით უფრო მეტად მიტაცებს სურვილი საქართველოს ნახვისა. ქართველი ხალხი! ოჰ რა მშვენიერნი და მომხიბვლელნი უნდა იყვენ ასულნი ივერიისანი. ტინატინ, ტინატინ, ავტანდილ!

ხვალ მივდივარ.

—

თფილისი 1 ოქტომბერი. ღმერთო, რა მშვენიერი ბუნება, რა მშვენიერი მზე, რა მხიარული ცა! ეს ჭეშმარიტათ ის აღთქმული კუთხეა, სადაც აღიზარდა დიდი შოთა, შოთა რუსთაველი.

ბუმბერაზი მთები, ცად აბჯენილნი, ამაყი კლდეები, მრისხანე მდინარენი და ბნელი, ჯურღმული ხეობანი ერთი მეორესა სცვლიან, ერთი მეორეს ამკობენ, ასურათებენ. როგორ შეიძლება ასეთ ბუნებას არ აღეზარდა დიდებული მგოსანი და კვლავ არ ესხას უმეტეს დიდებულნი.

ოჰ, რა მადლიერი ვარ ბედისა, რომ წილად მარგუნა საკუთარი თვალით მენახა ამქვეყნიური ედემი, საკუთარის სუნთქვით მესუნთქა ნაზი ზეფირი სამღრთო სურნელებით შენაზავები, საკუთარი ყურით მესმინა მსოფლიო ნანა მთიდან გადმოჭრილ სიოსი...

2 ოქტომბერი. (დილა) დღეს გავეცანი გ. რ. დ. და ა. ზ. ყ. აი ნამდვილი ტარიელი, ნამდვილი ავთანდილი. როგორის გრძნობით მეალერსებიან, გულ ღიად, როგორც საქართველოს ცა, სტუმართ მოყვარედ, როგორ ივერიის ბუნება. ორივე საზოგადო მოღვაწენი ყოფილან. ჩემი ავთანდილი თურმე კიდევაც მგოსნობს. აი ეს იქნება უთუოდ ახალი შოთა, შოთა ‘ომმავლისა.

2 ოქტომბერი (საღამო). ცოტა არ იყოს ამ გ. რ. დ. თავი მომაბეზრა. რაღაც დამჯდარი ჭკუისა არ უნდა იყოს. მაგრამ ტარიელიც ხომ არ იყო ამ რიგათ დარბაისელი. ყოველ შემთხვევაში დიდი სიმპატიური ტიპია. ჩემი ავთანდალი უფრო დარბაისელია თუმცა...

3 ოქტომბერი. არვიცი რა მემართება. ამ ხალხმა ლამის გამიცრუოს იმედი. სად არის ის ქართული არწივისებური ყივილი „მე შენ მიყვარხარ?" ყველა რუსულად ლაზღანდარობს. ამ გრ. რ.-ის თავი ველარ დავახწიე. სამი რაღაც დაუწერია და ლამის მზეს გადაახტეს. ამ ლექციას რაღას გადამკიდეს. წარმოიდგინეთ ავათმყოფებიც კი მოსულან. ისეთი ხველა იყო, როგორც „გრგვინვა" და „გრდემლი". შოთას სურათზე, რომელიც მე მიძღვნეს, ორასზე მეტ მგოსანს უწერია ხელი. აი ბედნიერი ქვეყანა! ნეტავ რამდენი მათგანი იქნება დიდებული მწერლის მემკვიდრე, მისი სახელის განმადიდებელი!

ამ ქართველ ქალებს ნეტავ რბსთვის აქებდენ ასე თავგამოდებით! ამდენი მახინჯი...

ვახშამი კი ჩინებული სცოდნიათ. ის ხალხი, ტომელსაც ახალი კლუბი აქვს...

4 ოქტომბერი (ქუთაისი). ღმერთო რა მშვენიერი ქვეყანა, რა დიდებული ნანგრევები!

ეს რა ხალხში ჩავარდი თქვენი ჭირიმეთ. ისე მეხვევიან, თითქო იესო მაცხოვარი იერუსალიმში შევდიოდე. ქალაქის თავი, მარშალი, მგოსნები... მაიც რა ჯანდაბაა ამდენი მგოსნები. სოკოც არ იცას ამდენი ჩვენს ტყეებში. დიდი აბეზარი ხალხი ყოფილა ეს ქართველობა. მე მგონია ამათ არაფერი საქმის უნარი არ უნდა ჰქონდეს. მაშ რასა ჰგავს ეგ აურ-ზაური?

ამ გ. დ. სწორედ გამიჭივრა საქმე. არც ტარიელობა მინდა მისი, არც თინათინობა. აყალმაყალი საზოგადოთ მეჯავრება. ვილაც მესტამბე მომიყვანეს დღეს: „შენი თაყვანისმცემელიაო“, თითქო მე კერპი ვიყო. თუ დროზე არ გავეცალე, ესენი უსათუოდ რაღაც ხათაბალას შემამთხვევენ.

ეს ქალაქის თავი ნეტავ რა განძია. ჩემის აზრით ის ფრიდონს უფრო ჩამოჰგავს. ვერ გამიგია აქ როგორ ცხოვრობდა ისეთი დიდებული მგოსანი.

საბრალო კიტა! რა მშვენიერი, არწივისებური ცხვირი ჰქონდა.

თფილისი 7 აგვისტო. ჯერაც ვერ გამოვრკვეულვარ! კაცო, საქართველოში ვარ თუ საგიჟეში. მე დამცინიან, თუ თავის თავს, ჭეშმარიტათ ვერაფერი გამიგია. „კულტურის მოყვარულთა საღამო“! ნეტავი რომელი კულტურა არის ესა. ნუ თუ „ვეფხის ტყაოსანი“ ამ კულტურულ ნიადაგზე აღმოცენდა! ნუ თუ ესენი არიან შოთას მემკვიდრენი? არა, არა, ეს ყოვლად შეუძლებელია.

ქართველი მგოსნები!

ქართველი მუსიკა!

ქართული ჰანგები!

არა, მე აქ დიდხანს ვერ გავსძლებ.

ისევ ჩემს ყინულიან ქვეყანაში მირჩევნია.— იქ თავს მაინც არავინ მაბეზრებს.

ამასაც სიმღერას ეძახიან! მერე როგორ მქონდა წარმოდგენილი ქართული სიმღერა: როგორი ნაზი, ლაღი, ძლიერი; ლურჯ მდლელოსავით მობიბინე და ჭაჭა-ქუხილივით მრისხანე. აქ კი ხრინწიანი კატის ჩხავილი, რაღაც უთავბოლო ხრიალი.

8 აგვისტო. ჯერაც გონს ვერ მოვსულვარ. გუშინ იმ „კულტურის მოყვარულებმა“ მგონი საპატიო წევრად ამირჩიეს და რაღაც ჩემ შესახებაც იქარაფშუტეს. მიკვირს სწორეთ ეგრე როდის დაჩაჩანაკდა ეს ერთ დროს სახელოვანი ხალხი. რომ არც ეგ უხეირო ლაქუცი უხდებათ.

წუხელ სიზმარში გ. დ. ვნახე. ხელში სტვირი ეჭირა. გული შემიღონდა და ვითომ მოვკვდი. კიდევ კარგი რომ სიზმარი გამოდგა, ალარ ვიცი ველირსები ამათგან თავის დახწევას...

აჰაა! ვგონებ ასე აჯობებს. ავდგები დილით ადრე და გავიპარები. მაგრამ ჩემოდანი?! ეეჰ, ჯანი გავარდეს ჩემოდანს, დაიკარგოს. უნდა გავიგო მატარებელი რა დროს გადის...

მატარებელში (დილა). ოჰ, რა საშინელი წამება გამოვიარე! სწორეთ ის იყო მატარებელში უნდა შევსულიყავი, რომ სადგურის ბაქანზე შევნიშნე გ. დ., ა. ყ. და გ. რ. ისინი გაფაციცებით დამეძებდენ. ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ალარ ვიცოდი რა მექნა. უცებ დავლუნე თავი და პარიკმახერთან შევედი. დავჯექ სკამზე. ვუბრძანე მოეპარსა ჩემთვის თავიც, წვერ-ულვაშიც და წარბებიც. დალაქს ეეცხოვა, მაგრამ დამთანხმდა. გავიპარსე. სახე სრულიად გამომეცვალა. არხეინათ გაველ და ჩემს მეძებრებს ავუარ-ჩამოვუარე. გ. დ-მ სამჯერ ურცხვათ ჩამხედა თვალებში, ბოლოს უაზროდ ჩაიცინა და მომშორდა. ახლა მე ავედევნე და არ მოვეშვი ვიდრე სადგურიდან არ გავაძევე.

მატარებელში (საღამოს). მადლობა ღმერთს. ძლივს მოვისვენე. მშვიდობით მშვენიერო საქართველოვ, მშვიდობით დიდებული შოთას სამშობლო, მშვიდობით ჩემო თმებო, მშვიდობით ჩემო ძვირფასო ჩემოდანო.

მდორე დილას. ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! ჩემს ჩამოდანში ამდენი ხნის ნაშრომი ჩემი ძვირფასი თარგმანი დამრჩა. ნუ თუ კვლავ უნდა დავუბრუნდე ჩემს აბეზარ მასპინძლებს, რომ მივიღო ჩემი ხელთნაწერი. რისთვის, რისთვის მეუფეო ამდენი ტანჯვა.

ან იქნებ უმჯობესია ხელ-ახლა შეუდგე შრომას და ამ სატანჯველს კი თავი დავახწიო? დიახ უმჯობესია...

როსტოვი. ეს ლექსი უნდა გავუგზავნო რომელიმე სატახტო გაზეთს. დაე გაიცნოს რუსის საზოგადოებამ თანამედროვე საქართველო.

— იქ, სადაც მთიდან
გადმოჰქუხს ჩქერი,

სად ჰყვავის ია,
სად „იწვის შქერი“;
იქ, სადაც ისმის
ყივილი ორბის,
სადაც გიჟმაჟი
არაგვი მორბის;
სად ლაჟვარდს ცისას
არწივი აპობს,
სად მზე იცინის,
მთვარე ამაყობს;
სად ვარსკვლავთ კრება
სხივ მოკამკამე,
მრავალ დროების
უტყვი მოწამე,
დაჰხარის მიწას
და დასცინიმებს,
მარგალიტ ნამსა
ცრემლად აწვიმებს;
იქ, სადაც ნაზი
სიოს ღიღინი,
არის ოცნების
შვება და ლხინი;
სადაც მძლავრი ხმა
ჭექის და გრგვინვის,
როგორც სატანა
მთებში იცინის,

ერსა ქართველსა დაედგა ბინა,
საუკუნეთა მრავალთა წინა.
ხმა მათი მძლავრი, ვით მთათა ქშინა
მუნ გაისმოდა მას ჟამსა შინა,
და ხელთა მათთა ნამოქმედარი:
იქ ციხე-კოშკი, აქა ტაძარი,
დღესაც ამშვენებს მთათა წვერვალებს
და მზეს ამაყად უსწორებს თვალებს;

დღეს არ სჩანს მხოლოდ ქართველი ერი
ძველად ამაყი და მშვენიერი,
და მისთა ნაცვლად ამ ტურფა მხარეს
ვსჭვრეტ ხალხთა გულის დამამწუხარეს.
ვაგლახ შესცვლიათ სახეც და ენაც,
ყადრი თავისა, მწყობრი მოლხენაც
და სავალალო სიტყვა პასუხი,
სიმღერა სმენის ტანჯვის მარწუხი
გამეფებულა დღეს ამ მხარეში
ფუქსავატობის ცეკვა თარეში.

და სადაც იშვა დიადი შოთა
ალმართულია ტანჯვის გოლგოთა.

ეშმაკი*)

შოთა რუსთაველის საღამო

(იხ. ეშმ. მათრახი № 22)

3 ღვინობისთვეს, დანიშნულ დროზე, ჩემს ოთახში ვიჯექი და ისეთ გრძნობას განვიცდიდი, როგორსაც ალბათ ორი დღის უჭმელი და წყალში მუხლებამდე ნადგომი, დოღისათვის „გამოხამებული“ ცხენი განიცდის „მარულას“ დაწყების წინა წუთს.

კარის რახუნი რომ გაისმა, გულ-ღვიძლში რაღაც მომწყდა, ენა დამეგა და თვალთ დამიბნელდა. არა თუ რისამე თქმა, სკამზე წამოდგომაც ველარ შევძელი და წინადვე დამზადილი „მობრძანდის“ მაგიერ დავიღმუილე:

— მმმუუ..

რახუნი შეწყდა და ცოტა ხნის შემდეგ კვლავ

---

*) ბატონებო! ორი ადამიანი დაჟვარდში მოკაშკაშე მთვარეს შესტქერდა, ერთმა დაიძახა:

— შეხედე ნამდვილი მზარეულის ბრტყელი და ქონიანი სახე! როგორ იცინის!.

მეორემ შენიშნა:

— სად ხედავ, ძმაო, მზარეულს. შეხედე რა მშვენიერი ქალია! თავზე საუცხოო შალაპა ახურავს სიარაქლემას კუდითა. სრულიადაც არ იცინის. რა მშვენიერია წყეული!

რომელი იყო მართალი?

შეიძლება მგონანმა ბალმონტმა მშვენიერი ასული დაინახოს საქართველოში მოგზაურობისას,

მაგრამ მე მზარეულის მურიან სახეს აშკარად ვხედავ.

ეშმაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმეორდა. ახლა კი მოვიკრიბე რაც ძალი და ღონე მქონდა, მობრძანდით მეთქი დავიძახე და მუხლი მოვიდრიკე. სტუმარი შემოვიდა. მე მოწიწებით დავხარე თავი და დავიწყე:

— აწ განუტევე მონა შანი, მეუფეო, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა ნათელი, რომელი განუმზადე წინაშე პირსა ერისა ჩემისასა...

— ეს რა ამბავია?—გაკვირვებით წამოიძახა სტუმარმა, მაგრამ მე ყურიც არ ვათხოვე, ხელი დავუჭირე, ვეამბორე და განვაგრძე:

— არა ღირს ვარ გახსნად საბელთა ხამლთა შენთა, ჰოი ჩანგო გულისა საქართველოისა!.. ხილვითა პირისა შენისა უუბედნიერეს ვარ შორის ყოველთა ქართველთა და, აჰა, მოგესალმები შენ, ვითარცა...

— კაცო, ხომ არ გაგიჟდი? რა ღმერთი გიწყრება?—შეშინებული ხმით დამიყვირა სტუმარმა.

გული რაღაც ფათერაკის გრძნობამ გამიმჭვალა და ზევით ავიხედე...

იმ წუთის ჩემს მდგომარეობას ოდნავაც ვერ შეედრებოდა იმ კაცის მდგომარეობა, რომელიც მასკარადში თავდავიწყებით ეარშიყება ვინმე ნიღაბიან ასულს, დარწმუნებული, რომ ეს მისი გულის სატრფოა, ხოლო როცა უკანასკნელი ნიღაბს მოიხდის, ნაცვლად მომხიბლავი საყვარლისა, კანონიერი ცოლი კი დაუდგება თვალწინ.

ზევით რომ ავიხედე, ხორც შესხმულ შოთა რუსთაველის მაგიერ, ფრთა ფარფატა გიგო დამიხვდა.

განა აიწერება ის გრძნობა სირცხვილისა, თავზარ დამცემ მოტყუებისა, სულელურ მდგომარეობისა და სხვათა და სხვათა, მე რომ იმ წუთს განვიცადე?

არ ვიცი, რამდენ ხანს დავრჩი ისე მეხ-დაცემულივით გაქვავებული, ჭარხალივით გაწითლებული და დამუნჯებული.

როცა აზრზე მოვედი, შევატყე, რომ სტუმარიც ფერნაკრთობი იყო, ალბათ ჩემი სიგიჟის თუ შეეშინა.

— გამარჯობა, გიგო, ჰა-ჰა-ჰა! როგორ მოულოდნელათ შემოხვედი, კაცო? ნაძალადევი სიცილითა და ვითომ დაუდევარი კილოთი მივესალმე მე.

— კაცო, შენ სრულ ჭკუაზე ხარ?.. მადლობა ღმერთს!.. მე კი მეგონა, ნამდვალათ შერყეულა მეთქი! რა იყო ეს ხელზე კოცნა, ეს ხუცური ლაპარაკი და მუხლის მოდრეკა?—მკითხა ცოტათი დამშვიდებულმა გრიგოლმა.

— ჰა-ჰა-ჰა!—გადვიხარხარე მე,—შეგაშინე, განა? წარმოიდგინე ისე გამიტაცა ამ ახალი როლის სწავლამ, რომ თავიც კი დამავიწყა და შენ რომ არ დაგეყვირა, ვინ იცის, როდემდი გაგრძელდებოდა ეს კომედია!

— რას მიედ-მოედები? რა როლია?

— მაშ შენ არც კი იცი, ერთმა უსახელო ავტორმა რომ ჩინებული ტრაგედია დასწერა „სოლომონ და სულამით“? ეს ტრაგედია ამ დღეებში უნდა წარმოადგინონ ჩვენ სცენაზე და მე სოლომონის როლი უნდა შევასრულო,—ვიტყუე მე.—შენ რომ შემოხვედი, სწორედ იმ ადგილზე ვიყავი, საცა ტრფობით აღსნებული სოლომონ მეფე თავის სატრფოს, სულამითს, მიესალმება... ისე გამიტაცა როლმა, რომ შენ სულამით მეგონე... სწორეთ ამიტომ იყო, რომ ხელზე კოცნა დაგიწყე.

— ეეე, ჩემო კარგო, კარგათ ვერა სტყუი! განა რომელი სოლომონი ეტყოდა სულამითს—„ჩანგო გულისა საქართველოსაო“—აქ საქართველო შუაშია? არა, შენ თვალებშიაც გეტყობა, რომ სცრუობ.

რაკი ეს ვერსია არ დამიჯერა, მეორე მივახალე:

— იცი რა, გიგო? შენ ნურავის ეტყვი და მე დიდი ღვთის მორწმუნე კაცი ვარ. შენ რომ შემოხვედი, ვლოცულობდი და ის სიტყვები—ჩანგო გულისა საქართველოისაო—წმინდა ნინოს შეეხებოდა. თუ ძმა ხარ, ნუ გამამხელ. ხომ იცი ქვეყანა ათეისტია... სასაცილოთ ამიღებენ.

არც ეს არაკი დამიჯერა, ხელზე კოცნამ გაამფუჭა საქმე (რომელი მლოცველი იქნება, რომ სტუმრათ მოსული კაცი წმინდანი ეგონოს და ხელზე კოცნა დაუწყოსო.

რაკი აღარ მეშვებოდა და დრო კი მიდიოდა, ასე რომ ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო ნამდვილი შოთას შემოსვლა, მე იძულებული გავხდი ყველაფერი გულახდილათ მეთქვა გრიგოლისათვის. გავუმხილე ჩემი სპირიტობა, უკანასკნელი სეანსის ამბავი, შოთასთან ბაასი და ბოლოს ვუთხარი:

— ასე რომ დღევანდელ საღამოს ჩემთან ერთად შოთა დაესწრება. სადაცაა შემოვა და ვინაიდან ხომ იცი... პირის პირ... ე. ი. მარტოდ მარტო უნდა დავუხვდე...

მაგრამ გრიგოლმა არც კი დამაცალა გათავე-

ბა. დაავლო ქუდს ხელი და მოწვვეტით გავარდა ოთახიდან.

— ყოჩაღ,—გავიფიქრე მე:—სხვა რომ ყოფილიყო, ფეხს არ მოიცვლიდა აქედან შოთას შემოსვლამდე...

ერთი მხრით სჯობდა კიდეც ასეთი შემთხვევა რომ მოხდა. გრიგოლის მოულოდნელმა სტუმრობამ და ჩემმა ფათერაკმა სულელური ატაცება გამიქარვა.

ეხლა თავი დავიმორჩილე და შემეძლო უფრო დინჯათა და დარბაისლათ დავხვედროდი ძვირფას სტუმარს.

ბევრი ლოდინი ღარც კი დამჭირებია. რამდენიმე წუთს შემდეგ კარი გაიღო და „შემოდგა კარსა ყრმა იგი კეკლუცი, ტან-ნაკვთიანი“...

თაგუნა.

(შემდეგი იქნება)



ფ ო თ ი.

(მამის საკვდილი თუ დედის სირცხვილი*)

ვსთქვა მამას მოჰკლენ, არა ვსთქვა—
შეურაცყოფენ დედასა
გრძნობა სძლევს დახშულ გონებას—
უახლოვდები ბნედასა.
ბოლმა-ნაღველით აივსო
მოთმინებისა ფიალა,
ზომის და წონის უნარი
მოსპო და გაატიალა.
ამგვარათ რადგან ჩამაგდეს
აზრის არევა-ბოდვაში,
ნურავინ იწყენს თუ ვინმე
ვამხილო თავის ცოდვაში.

მეტადრე ვინაც ამას წინ
აგვიძრა შიშის ქარები,
ხალხი, ყვირილით გარბოდა
საშველათ რეკდენ ზარები.
პირველათ ცეცხლი გვეგონა
რადგან „დაზღვევა“ ხშირია,
ხალხით გაივსო ერთბაშათ
პარკ—კაპარჭინის პირია.
იქ ქალი ვნახეთ მტრისგანაც
საბრალო სანახავათა,
მარა რაც ვერ ვსთქვა, მკითხველო,
შენ მიხვდი თავის თავათა.
თუმცა, რაც მოხდა, ეშმაკმა
სულ ყველა იცის სწორათა
და მე თუ იმას გიამბობთ,
რასაც ამბობენ „ჭორათა“.
სხვა ვიფიქროთ და სხვა ვსწეროთ
უფალმა ასე ინება,
თუმცა მკითხველსაც მოვაწყენთ
ეშმაკსაც გაეცინება.
„ორი ყაჩაღი მოვიდა
სერგიას ხელი სტაცესო,
ეტლში ჩაისვეს უენოთ
ბაზრისკენ გაიტაცესო.
ერთ მათგანს აბჯარ-კაპარჭი
ემოსა ბოქაულისო,
მეორე იყო ცილინდრით
აგებულობის სრულისო.
გვიშველეთ ხალხო დარჩენილთ
უმოწყალოთ და ობლათო,
გზები შეჰკარით ყოველგან
კაცი აფრინეთ სოფლათო“.
ასე მოსთქვამდა ანეტა
„ას მათის გასაჭირითა“
გულ მკერდს ფრჩხილებით იხოკდა
ქარ-ცეცხლს აფრქვევდა პირითა.
ხალხიც განრისხდა, დასძახეს—
„აბა ბიჭებო ურაო,
ბედი ვანანოთ ყაჩაღებს,
დაუხვდეთ მამაცურაო.
მოდარაჯენი წავიდენ
ქალაქის ყოველ მხარესო—
ბოძზე გავაკრათ ხალხის წინ
ვინც აგი მოაგვარო“.
მალე შიკრიკი მოვიდა
სთქვა: „მოტაცება არაო

*) არის თქმულება (არა მეცნიერული) ვითომც როცა მძინარე ბავშვი იცინის მას თავისი სული ეჩვენება და ეუბნება: „გამამხელ, მამას მოგიკლავ, არ გამამხელ დედას შეიგინებო“. ბავშვი უკანასკნელ მუქარაზე იცინის თურმე. მე კი არც ბავშვობა მეთქმის და მით უმეტეს :რც მძინავს, მაგრამ მოჩვენება იგივე მაქვს.

სერგია დაუჭერიათ
    და კუტუსკაში მჯდარაო“.
თქმა და ალყაში ჩაგდება
    „უჩასტკა“ ბოქაულისა
იმ წამსვე მოხდა ხალხიდან
    „პრისთავიც“ გააგულისა.
ბრბოს შეუტია მუქარით:
    მაენე რამ დავიჭირეთო
თქვენ გირჩევნიათ კბილები
    ენაზე დააჭირეთო.
ერთი კიდევაც მიბეგვა
    ალბათ „ზაკონის“ ძალითა,
საერთო ლანძღვა გინებას
    უმზერდით ჩვენი თვალითა
შემდეგ უფროსიც მოვიდა
    და ხალხი დააწყნარა მან
თუმც ბოქაული ყვიროდა
    ვით ძველი გმირი ყარამან.
სერგია „კუტუსკისაგან“
    გამოიყვანეს გარეთა,
და იქ მტირალე მის ცოლშვილს
    უკლებათ ჩავაბარეთა.
ათას რამეებს ამბობენ
    ამ გვარ შემთხვევის წესია.
გამოძიებას დაუცდით
    ჩვესთვისაც უკეთესია.
ერთი ყველასთვის ცხადია,
    ამ ქესატობის ხანაში.
მსუქან მოსავალს ელოდენ
    შანტაჟისტები ყანაში.
ათი ათასი გოდორი
    ვასილის მამულისაგან
სერგიას უნდა ეზიდა
    ალბათ „წყალობით ღვთისაგან“
იწერებოდენ: „ვადაში
    თუ ალარ ჩაგვაბარეთო
უკუბოთ ველარ გამოხვალთ
    თქვენი სახლიდან გარეთო“.

ბუტუნა.

საქორწინო ჯარის-კაცის წერილი

ჩემო გულის ტკივავ, ირინე!

დღეს „კამანდერმა“ შენი წერილი გადმომცა, შენი „მაგაზინკის“ ტკივილისავით გრძელი თითებით დაწერილი. ისე გამეხარდა თითქოს სამი თვის ოტ-პუსკი მოეცათ ჩემთვის. დავიწყე წერილის კითხვა და წამსვე თვალ-წინ წარმომიდგა შენი კოპწია ტუჩები და ენა, „პულემიოტივით“ რომ ისვრის სიტყვებს. ძლიერ მომინდა მაშინ ერთი „ნასტუპ-ლენიის“ გაკეთება და თოფის ლულასავის შენი ცხელი კოცნის აღება. (ჯერ ჯერობით ამის მეტი კონტრიბუცია არ მოგეთხოვება). იწერები: მალე ჩამოდი და შემირთეო! ნუ თუ ვერ გაგიგია ჩემი სტრატეგიული პლანები? როგორ შემიძლიან შენს მშობლებს ულტიმატუმი გაუგზავნო ჩვენი ქორწინების შესახებ, მინამ შესაფერად არ მოვამზადებ ფინანსებს და სურსათს. მაგ დრომდი კი ვიხევ წინასწარ მომზადებულ პოზიციებზე და ვუცდი დროთა ბრუნვას.

მომიკითხე დიდის სიყვარულით მთავარ-სარდალი თქვენი ოჯახისა პატივცემული ივანე პეტრეს ძე მთელი თავისი შტაბით.

გავიგე რომ ღამე გამოდიხარ სახლიდან მიდამოების დასაზვერავად. გირჩევ ხელი აიღო მაგ შენ გამბედაობაზე. რადგან მტერი ბევრია და ძლიერი, ტყვედ წაგიყვანს და შემდეგ რა დღე დაგადგება ამას კი წერილით ვერ შეგატყობინებ, რადგან, ომიანობის გამო, ამ საგნის შესახებ ლაპარაკი საველე სასამართლოს კანონების ძალით აღკრძალულია.

გწერს სიკვდილამდე შენი გერონტია.

გერონტიას მისამართი შეშლოდა და თავის მიჯნურის მაგივრად ეს წერილი გამოეგზავნა ბატონ

გუგულისათვის.

კ ა ხ ე თ შ ი



რკინის გზაზე გადასასვლელთან

მეურმე. (დილის 11 საათი) გაგვიშვი გადაგვატარე, ბატონო შენი ჭირიმე!

მცველი. ცოტა დაიცა, მატარებელი გაივლის. (იცდიან).

მეურმე. (ნაშუადღევის 1 საათი) იწამე ღმერთი, გაგვიშვი, აგერ მესამე საათი შენ შემოგყურებთ.

მცველი. რა ვქნა ძია, ბარემ კიდევაც გაგატარებდი, მაგრამ მატარებელი გამოსულია. (იცდიან).

მეურმე. (საღამოს 4 საათი) კაცო ქრისტიანი არა ხარ? დაგვეხოცა ხარ-კამეჩი ამდენი ლოდინით, გააღე გაგვიშვი.

მცველი. რასა ჯავრობ შე კაი კაცო. გაგიღო და გაგჭყლიტოს მერმე ვინ აგოს პასუხი? (იცდიან).

კბილის ექიმთან

ავათმყოფი. კაცო რას ეძებ ეგრე გულმოდგინეთ, ხომ არა თევზაობ ჩემს ყბებში.

ექიმი. არაფერია. გუშინ თქვენ ჩემი სატრფო, ექიმი ქალი გიკეთებდა კბილებსა და ალბათ სადმე გამოხრული კბილში ბარათი ჩასდო ჩემთვის. ჩვენ ასეთი მიწერ-მოწერა გვაქვს ჩვეულებრივათ.

მესტვირული.

(დიდი ჯიხაიშისათვის)

შენი ჭირიმე, ეშმაკო,
მათხოვე შენი სტვირია,
მინდა დაუკრა, მოგითხრო
ამ სოფლის გასაჭირია.
    მინდა ვეწვიო კომიტეტს,
    მიუღიღინო ნელ-ნელა,
    იმათი საქმის აღწერა,
    თუ შევძელ, თუ არ მეძნელა.
დილა მშვიდობის, კომიტეტ!
რავაა ჩვენი საქმენი!
ხალხმა რომ საქმე მოგანდოთ,
გვითხარ იმისი რა ქენი?
    გუშინ რალაცა გავიგე,
    ვერ დაუჯერე მე ყურსა,
    ცხვირაძეს თურმე აჭყევით,
    იმ გაიძვერას, უბირსა.
მას ნუ უჯერით, გენაცვა,
ხომ იცით ის რა ჯურია:
არც ექიმობის ესმის რამ,
არც წამლის სამსახურია.
    წინეთ თუ კი არ ვარგოდა,
    არც ესმოდა საქმის „ინჩი“,
    ეხლა ვისლა დაუჯერეთ
    და უპოვეთ აზრი ნიჭი.

იქნებ დავითს გაუგონეთ?
ხომ იცით, მას რაცა სურდა?
ქსენონი და აფთიაქი
უყვარს ისე, როგორც ხურდა.
ამას წინეთ მან ხალხის წინ
ნახა ლანძღვა და გაქცევა,
ამიტომაც მოისურვა
ქსენონ-აფთექის დაქცევა.
ის იყო რომ მოიწვია
შენთან ერთად მან დათიკო,
ქსენონ აფთექის მსვლელობა
რომ ცუდ გზაზედ დამდგარიყო.
დათიკოს კი ყველა იცნობს,
აღარ უნდა ამას ახსნა:
აფთექი რომ დაექცია
იქვე გვერდზე „სკლადი“ გახსნა.
ნუ უჯერი ბატონ დავითს
ნურც იმის ძმას, (შამა სამსონს)
ნურც ანდრიას, თომას, ვასილს,
ნურც სხვას ვისმე იმათ ამსონს.
ხალხი მალე დააფასებს
თქვენისთანა კეთილ პირებს,
თქვენ რაცა ვთქვი, ეს იკმარეთ...
ექიმს ვუმღერ დანაპირებს.
ღმერთმა გაცოცხლოს, ექიმო,
ღმერთმა მოგცეს დღენი გრძელი,
მრავალ წელიწადს დაესწარ
მრავალ წელიწადს გასძელი.
დამავალეს რომ გადმოგცე,
ჩვენზე არ აიღო ხელი,
კომიტეტსა ნუ აყვებით
კრულ იყოს მათი სახელი.
თურმე იმათ განუზრახავთ
მოჩოჩება ექიმ მღვდელის,
ექიმ მღვდელი ჩვენ არ გვინდა,
მისგან შველას არვინ ელის.
კარგად ვიცი ავადმყოფსა
ვერ მოურჩენს ის იარებს,
ავადმყოფი მყის იფიქრებს:
სწორედ ეხლა მაზიარებს.
ამიტომაც გეხვეწებით
ნულარ წახვალთ, ჩვენთან დარჩით,
სამსახურსაც დაგიფასებთ
ამ წელიწადს თუ გადავრჩით.
აწ მშვიდობით რო მენახო
ცოტა გზა მაქვს გასავლელი,
სკოლაში მსურს შევიარო
ზევით ასვლა თუ შევძელი.
მითხრეს, ნიკო ჩამოსულა,
ახალ სკოლის ინსპექტორი,
მინდა მასაც მივუმღერო
სიტყვა ვუთხრა ერთი-ორი.
თუ მეგობარო, არ გინდა,
შეგხვდეს „დავითის“ სახელი
ნუ შეიქნები იმისი
აზრების გამომსახველი.
სიმართლის მომხრე პირთაგან
ძმანი არიან გმობილნი,
და თავის მოღვაწეობით
შავ-რაზმელებათ ცნობილნი.

—

აწ კი მშვიდობით, ვათავებ...
უნდა ვიბრუნო პირია:
მეცა და ჩემსა გუდასაც
აწ დასვენება გვჭირია.

გესლიანი.

რა მომესწრა აგი?

(გურული სტენა)

არა, კაი რომ აფერი მომესწრებოდა ჩემს გაჯახირებულ ცხოვრებაში ქე ვიცოდი, მარა ამისთანა ვაი-უშველებელში, ჯოჯოხეთში და თაკარაში თუ ჩავარდებოდი, აგი აღარ მეგონა სწორეთ, რა ამბავია აგი, რა მომესწრა აგი,

ვაინა რომ დეიწყო, ვიფიქრე, აგერ დღეს, აგერ ხვალ, აგერ დღეს, აგერ ხვალ გათავდებაო, მარა ისე არ გაუთავდა თქვენს მტერს ტანში ჭირი, აგი ვაინა არ გათავდეს. მე ასე ვფიქრობ, აგი ვაინა მაშინ გათავდება, კაცის სული რომ არ ათავდება, აბა, რაფერ არის აგი, რომ ვერ გევიგე? ახალგაზდები კი არა, მგონი მეც კი მომი-

წიოს ვაინში წასვლა, შენს სამოცი წლის კილფონას. თუ მომიწევს და ჯანდაბას ჩემი თავი, შევრცხვე, თუ შევწუხდე, დავავლებ ხელს ჩემს მაჭახელას და ზე მივადგები გერმალიას პოზუციაზე. მარა, რაი მერე, ახლა ყოლიფერი მოდნაა, აგი ჩხუბიც მოდნაზე ყოფილა, გერმალიე თურმე მოდნაზე ჩხუბობს. წახანე ვთქვი, მაჭახელას წევიღეფ მეთქინ, ჰმმ... ვინ მიგიშობს თურმე სამაჭახელოთ, მაჭახელე კი არა ვინტოვკა ვერ უწევს თურმე შვამდი... ოცდა-ხუთი ვერსიდან რომ დოუდანდარებენ თურმე ცეცხლს, მოგაყრიან და მოგაყრიან ყუმბარებს ბჟირივით, ვერც კი გაიგებ სიდან მოცივა ტყვიები, კაცს ვერ ხედავ და ბაღანას თურმე. გეიწევი წინ— გზეპებენ, უკან ღეიხევი გბეზებენ, ალმა ეიხედავ ზე კეკალ მირონში ჩამოგცხებენ ჰაიერიდან, და მერა უნდა ვუქნა იმას ჩემი მაჭახელაით, თვარა იცოცხლეთ, უწინდელი დროი, რომ ყოფილიყო, იგენს ვუტირებდი თვალებს: მახსოვს მილინციათ რომ ვიყავი თათრის ჩხუბში, ერთი თათარი ერთ რუსს, წაკუზულიყო და თოფს ენიშნებდა. გადმეგიღე ჩემი მაჭახელაი, ამოვაწინწილე ნიშანში და ზე კაკალ ჩამოკონწოლებულ ჩაქრრაში ვზეპე და ავაგო. მარა ახლა სხვა დროი დადგა... თუ წამიყვანენ მართლა, წევიღებ ჩემს მაჭახელას, იგენი ქე მომცემენ ვიტონკას ობა რას იზამენ, რა ვიცი; თუ ღმერთმა ქნა და თვალი მოვკარი ოცდა ხუთ ვერსში, მართალია ჩვენი ვიტონკა შვიდ ვერსის მეტს არ მივა—მარა, სამჯერ ვესვრი, სამჯერ შვიდი ვერსი—დვაციტ ადინ ბუდიტ. ზედ ჩემს მაჭახელაი-საც მივაყოლებ და რავა მაჭუმს სირცხვილს, ოთხ ვერს რავა ვერ გაარტყამს, დვაციტ ადინ და ჩეთირი—იტალო დვაციტ პიათ და ქე მივარტყამ შენს გერმანას ზე კეკალ მირონში. ეტო ნიჩალო, თოფს ქე ვისვრი, მარა აგი ბალიკარტები რაფერ ამოვთხარო და მანიორე რაფერ გავაკეთო, ამ დასუსტებულ-მიკანკალებულმა კაცმა. მერე თურმე იგენის ზარბაზნის ყუმბარის შუქი სახლებს ცაში აფრიალებს, და მე თუ გამომიქროლა, ერი-ჰაა, ხეირი არ იქნება, რავა ამაფრიალებს შენს კილფონას ცაში, და გადავაფრინდები ცეპელინს თავზე. რა მომესწრა აგი, დიდება შენ ღმერთო?

ლუკაიეს ობოლი.



დეპეშები

დ. ზუგდიდი. დაბის მამა-დეპუტატთ დათა კორტოზიასა და მეპურეთა შორის დიდი განხეთქილებაა. მდგომარეობა სერიოზულია. მიზეზი არც ისე უბრალოა. დათა თავის ჯალაბობით ერთ მშვენიერ საღამოს, მადის აღმძვრელ საღამოს უპუროთ დარჩა. რასაკვირველია მშიერიც დაწვებოდა. ძილში სულ ნადიმი, ლხინი ელანდებოდა. მეორე დღეს შიმშილით განამწარებმა დათამ პურის გაყიდვის საქმეში „ნემეცური სისტემის“ დაუყოვნებლივ შეოლება მოითხოვა. მეპურეები წინააღმდეგნი არიან. ვინც აშკარათ ურჩობს, იმაი დათა შესაფერ „თავშესაფარში“ ამგზავრებს.

იქიდანვე. დაარსდა საშუამავლო ბიურო. წევრებათ შედიან „სტოროჯი“ ეფრემ ყოციჩავა და ერასტო ადამია. ბიუროს მიზანია მეპურეთა და დათას შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება მოაგვაროს. ჯილდოთ ეძლევათ „ცენტრალნი გასტინციდან“ შემწვარი წვადი და წითელი ღვინო.

იქიდავე. ზუგდიდელთა განმანათლებელმა სამშობლოს ბურჯმა აზნაურ კ—ო კ—ს ქალმა ზუგდიდის ქართულ საქველ-მოქმედო საზოგადოების განყოფილებას აღუთქვა ერთი მილიონი ფუთი სიმინდი, შემოწირულების სახით მოძმეთა დასარიგებლათ მხოლოთ ის პირობით, თუ საზოგადოების განყოფილება თავიდან მოიშორებს „გაუთლელ მუჟიკებს“, რომლებიც თურმე დაპატრონებიან განყოფილებას.

იქიდანვე. ბ-ნი იონა მეუნარგიას ფოთის სენი აქაც ჩამოყვა. უთავო ფოთს ერთხელ ის თაობდა. აქაც თაობს და კრებებზე თავმჯდომარეობას ჩემობს. საჭიროა მათრახის კუდი. ეგების მით მაინც დარწმუნდეს მის თავის უთაობაში და „ფოდრაჩიკობას“ უკეთ გაართვას თავი, ვიდრე კრების რთულ კითხვებს.

ოჩიკოჩი.

—

კაცხი. ვაჭრებს იერიში იერიშებზე მიაქვთ მომხმარებლებზე. მაგალითად: ნავთზე სამი კაპეიკით წინ წაიწიეს (7 კაპ. მაგივრად 10 კაპ. გახადეს) მათ გამარჯვებას მეტად ხელს უწყობდა ხალხის დაქსაქსვა. ამიტომ განიზრახეს მათ მწვავე იე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიშებს 42 სანტიმეტრიანი ზარბაზნით—კოოპერატივით გასცენ პასუხი.

იქიდანვე. მღვდელმა და მონასტრის ბერმა ერთმანეთს ომი გამოუცხადეს. სადაო საგანი საიდუმლოებით არის მოცული. ჯერ-ჯერობით გამარჯვება ბერისკენ არის. ხალხი ნეიტრალიტეტს იცავს. დიდს შედეგებს უნდა მოველოდდთ.

ზახრუმა.

ნოლა (გურია). ადგილობრივ მოვაჭრეს ე—ი ხ—ძეს გადაუწყვეტია (რადგანაც ბევრი ჟურნალ-გაზეთების კითხვამ ტვინი გამომილაყაო), დააარსოს ბიურო, რომელსაც მიზნათ ექნება: გახსნას ყველა დახურული ბარათები და პატრონის წაკითხვამდე თითონ წაიკითხონ. რამდენიმე წერილები უკვე გაუხსნიათ, უსურვებთ ასეთი კეთილი საქმე ხუნდაძეს და მისს კომპანიას დიდხანს განეგრძოთ.

ვახუშტი.

საკუთარი დეპეშა

სოფ. სოკოთუბანი. პარასკევს (16 ოქტ.) საღამოს 11 საათსა, 27 წუთსა და 17 წამზე მოულოდნელათ გარდაიცვალა ჩვენი ქვეყნის სასიქადულო ძე და თანაც სიამაყე მთელი საქართველოსი და სრულიად მაზრისა ცნობილი მოღვაწე სოლომონ ზურაბის ძე ზურგიელიძე.

მასწავლებელი სამრ. სკოლისა **ცუცუკია ხუნტრუცაძე.**

რედაქციისაგან. როგორც ხედავთ ეს აღმაშფოთებელი ამბავი ჩვენს რედაქციას იმ დროს მოუვიდა, როცა ჟურნალი უკვე იბეჭდებოდა და თავზარი დასცა მას. დამწუხრებული რედაქცია მოკრძალებით იხრის ქედს ძვირფასი თანამშრომლის ცხედრის წინაშე და ვინაიდან ამ ნომერში წერილების მოთავსება ველარ ესწრობა აცხადებს დაობლებულ მკითხველთა საყურადღებოთ რომ

შემდეგი, მე-24 ნომერი ეშმაკის მათრახისა იქნება

საგლოვიარო

მოთავსებული იქნება შიგ ყოველივე ცნობა ჩვენი ნეტარხსენებული მოღვაწის, ახლად გარდაცვალებულის სოლომონ ზურგიელიძის განსვენებისა და დაკრძალვის შესახებ.

საიდუმლო ბარათი

(დასასრული)

— მორიგი საკითხები! დაიძახა საშამ.

— რეჟისორის მოწვევა!

წამოდგა კაკი.

— ბ-ბო! მე ვიყავი მოსკოვის სამხატვრო თეატრში... იმ სამხატვრო თეატრში, რომელი სამხატვრო თეატრიც ითვლება საუკეთესო სამხატვრო თეატრთა შორის... მე ყველაფერი ვიცი ამ სამხატვრო თეატრის,.. სამხატვრო თეატრში ყოფნის დროს იმდენათ გავიზარდე, ისე განვითარდა ჩემი ესთეტიური გემოვნება, იმდენათ გამიფართოვდა ხელოვნების ჰორიზონტი, რომ ყველა ჩვენი მსახიობნი მეჩვენებიან, რალაც უსულო ტიკინებათ, კომპრაჩიკოსებათ... ერთი სიტყვით მე ისინი აღარ მომწონან. საჭიროა ახალი ჯურის სკოლა, ახალი რეჟისორი... ამის შესახებ, თუ „სამშობლოს“ კითხულობდით, მე ვწერდი კიდეც. მომეცით რეჟისორობა და ერთი სეზონის განმავლობაში მე აქ, ქუთაისში დაგიარსებთ მეორე სამხატვრო თეატრს, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდება მოსკოვის სამხატვრო თეატრს და ძველ არტისტებს კი, ისე გაუხდი საქმეს—დედას ვუტირებ!

წევრები გაიფხვირნენ... მანდილოსნებმა თვალები დაჭყიტეს.

— ამ საკითხს კენჭს ვუყრი: მიეცეს კაკის რეჟისორობა თუ არა? თქვენი აზრი? მიმართა პირველად ქალებს.

— მიეცეს! მიეცეს! წამოიძახა ყველამ.

დამტკიცდა.

— აბა წარმოგვიდგინეთ მომავალი სეზონის ხარჯთ აღრიცხვა და თქვენი მოსაზრებანი.

— მზათ გახლავთ! სთქვა კაკიმ.—რომ შევქმნათ ახალი სამხატვრო თეატრი, საჭიროა ყველა ძველი, ნიჭიერი არტისტები სცენიდან განდევნილ იქმნან...

წევრებმა აზრი მოიწონეს.

— მეორე - რომ ძირიანათ შეცვლილ იქმნას დრამ. გამგეობის საქმის წარმოება, უნდა შეძენილ იქმნას ბლომათ კონვერტები... ამისათვის საჭიროა ფული... ეს ფული უნდა იყოს სრულს ჩემს განკარგულებაში...ამ თავითვე უნდა ჩამაბარეთ 40,000 მანეთი“.

შენს მტერს, ძმაო, მე შიში განვიცადე!..ამის თქმა იყო და გამგეობის ცხრა წევრმა ერთბაშათ ცხვირი დააცემინა...

მერმე აღარ მახსოვს, რა მოხდა.

გონს როცა მოვედი, მაღლა ჭერში, „ატდუშნიკში“ ვიყავ გაჩხირული.

რის ვაი-ვაგლახით გამოვფოფხდი, მიმოვიხედე, ოთახში აღარავინ იყო, გარდა გუცასი, რომელსაც საქმის ყველა ქაღალდები მოეგროვებინა და ზედ დაჯდომოდა.

დედაკაცების ინტერვიუ ეხლა ხომ მოდაშია!.. სახელს უკეთებს ჟურნალს... მეც აზრად მომივიდა შენი ჟურნალისათვის რეკლამა გამეკეთებინა და გადავწყვიტე ზოგიერთი ცნობები გამომეკითხა ბ. გუცასათვის და ასე მივმართე.

— ბ. ჩემო! არ შეიძლება ზოგიერთი ცნობები მიბოძოთ?

— ინტერვიუ?!

— დიახ, დიახ!..

— თქვენ რომელი ჟურნალის კორესპონდენტი ბრძანდებით?

ეს ისეთი კილოთი მკითხა, რომ თუ ნამდვილი დამესახელებინა, არა თუ ცნობებს მომცემდა, კინწის კვრით გამომაგდებდა...

ბევრი ფიქრის შემდეგ მომაგონდა „თეატრი და ცხოვრება“.

— ჰო, მფარველობის კილოთი სთქვა გუცამ; ამ ჟურნალისათვის შეიძლება ცნობები მოგცეთ... მაინც რა გნებავთ?

— როგორ მიდის წელს აქ თეატრის საქმე? მორიდებით ვკითხე.

— წელს, ჩვენ დარწმუნებული ვართ, საქმე კარგათ წავა!.. კონვერტები ბლომათ გვექნება... ნომრებიც, რამდენიც შეგვიძლია ვწეროთ... ვინ დაგვიშლის!.. ჩვენ უნდა ძირიანათ შევცვალოთ საქმეები... თეატრი ახალ საძირკველზე დავაყენოთ... რადგან რეჟისორი ერთმა დაცხინკვებამ მოსკოვს გადაისროლა, ამიტომ წელს ჩვენ სეზონი აღარ გვექნება... ან რა საჭიროა? ჩვენ არტისტებს არ მოვიწვევთ... ჩვენ თეატრის კარები უნდა დავეკეტოთ და შიგ არავინ შეუშვათ... ჩვენ ფული არა გვაქვს... მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ—გვექნება... გვექნება იმიტომ, რომ ეს არის ჩვენი სურვილი...

— უკაცრავათ, მერე ამის შესახებ მიიღეთ რაიმე ზომები?

— რა სისულელეს მეკითხები? რა საჭიროა ზომები? განა ჩვენი სურვილი არა კმარა? ჩვენი სურვილია ფული გვქონდეს! დანარჩენი კი ჩვენი საქმე არ არის.

— მაპატიეთ, მაგრამ კარგათ ვერ გავიგე... ვინ „ჩვენ“? ვიზე ბრძანებთ?

— როგორ თუ „ვინ ჩვენ“? ჩვენ!.. ე. ი. მე და გამგეობა...

— განა თქვენ გამგეობის წევრი ბრძანდებით?

ენა ჩამვარდნოდა და არ მეკითხნა, ისა მერჩივნა...

ერთი დაიღრიალა ამ პატარა „გასიებულმა“ კაცმა, დამავლო კუდში ხელი, მომატრიალა ჰაერში და გადამისროლა.

სწორედ კლუბის წინ დავარდი.

ძლივს ავითრიე წელი და წამოვდექი, მაგრამ ვაი იმ წამოდგომას!.. შენგან ბოძებული კუდი ნახევარი აღარ მება. აკი არ მოუგლეჯია იმ უღმერთოს!

ამბობენ, თურმე კუდის ნაგლეჯს იოსებ იმედაშვილს უგზავნის თეატრის მუზეუმისთვის... თუ ძმა ხარ, შემახვეწე თაგუნას მისი ამხანაგ-ნათესავები გააფრთხილოს კუდის ნაგლეჯი არ დამიხრან...

კლუბში ხმაურობამ დამავიწყა ჩემი დარდი. მივედი და აფიშა წავიკითხე:

„Семейный вечеръ. Скандалы и Лото“.

ვიფიქრე: ეს რა თავის გდებაა? მასხრობენ მამასახლისები, თუ რა ამბავია? წინათ აცხადებდნენ— Танцы и лото... დღეს რა ამბავია?

შევედი.

არ გაგიკვირდეს, რომ ტფილისის კლუბში არ მიშვებენ და აქ კი შევედი... აქაური მამასახლისები თქვენსაზე სტუმართ-მოყვარენი არიან. ვინც გინდა იყავი, თუ 25 კ. გაქვს, ყველას უშვებენ... ვის არა ნახავ ამ კლუბში? დილიდან დაწყებული პატარამდე... რა პროფესიისა და მდგომარეობის ხალხი გინდა! მეც მქონდა 25 კ.; შენგან გამოგზავნილი ჰონორარი, (ოი, ისე დამცლია შენი თავი!) ჯერ ისევ ხელ უხლებელი მქონდა...

აი, მხიარულება და დროს ტარება აქა ყოფილა!!.

კაცო, ერთი ჩამოდი, რა არის? ნახე აქაური კლუბი! მასალასაც ბევრს იშოვნი და მშვენიერ დროსაც გაატარებ.

ერთსა და იმავე დროს სამ ალაგას არის ჩხუბი. შენს მადლს გეფიცები ვერც კი ასწრობ ყველგან: იქ „ბაქარის“ ოთახში ჩხუბობენ,

როტონდაში ლაქიას ლანძღავენ, რომ დროზე შეკვეთილი საჭმელი არ მოიტანა, და თუ მოიტანა,—საჭმელი—ცივი... სამაგიეროთ, გაგიხარიან სასმელი იყოს ცხელი!!. ბოთლს რომ ხელს მოკიდებ,— დაგწვავს!.. ჰო და მუცელში სულ ერთია, აირევა და... მე შენ გეტყვი სამართალს იპოვი ვისმესთან?! მამასახლისს თუ შესჩივლე: „მე ხომ ვერ გაგიკეთებ ყინულსო“ დაგიყვირებს... (მისი გაკეთებული ყინული თითონვე მიირთვას, მარა...)

ახლა ბაღში?!. ოო, რაც ამბავია—ბაღშია! ამოიღებს ხმალს ვისიკო და ატრიალებს! მერ ის ოხერი ისე გაფერილია, რომ სულ ლაპლაპი გაქვს. თუმცა კლუბში იარაღით შემოსვლა აკრძალულია ყველასათვის, მაგრამ შენც არ მოიკვდე, ვასიკოს ვერაფერი დააკლეს! არ უნდა და არ ემორჩილება საზოგადოების დადგენილებას! ძალაა!! იცი, უსამართლობაც კი იქნება მისი ხმლის ჩამოხსნა, კაცო, ძლივ რაჭიდან გამოიქცა და ჩუღი მოიშორა; ეხლა ბედმა იპრიანა, ხმალი ჩამოკიდეს და იმას მოაშორებ, თუნდა ერთი საათით? ამხანაგიცა ჰყავს, კოლეგა... ექიმი!.. სამიკიტნოში ითვრებიან, კლუბში მოდიან და სკანდალებს აკეთებენ... ხალხს ართობენ... ამბობენ, ერთგულ სამსახურისთვის მამასახლისები ადრესს უმზადებენო. მერე მიზეზს არ იკითხავთ? ორი საათიდან ბუფეტი იკეტება! ღვინოს აღარ იძლევიან. ვასიკოს კი სმა უნდა... საზოგადო დადგენილება და გუბერნატორის განკარგულება მას ფეხებზე ჰკიდია! სმა უდა— დაალევინე! ზოგიერთებმა მთხოვეს ეს გარემოება შენი ჟურნალისათვის მომეწერა, მაგრამ ვერ გავბედე... ვერიდები!.. არ შეიძლება,—კაცი განათლებული, ექიმი, წინამძღოლი, ადგილობრივი ვაჟა... უხერხულია ამისთანა ცნობილი პირის შეხება... მეც დავჩუმდი... რა მექნა?!

ახლა ძაღლები! რა ჯიშის ძაღლებს არა ნახავ აქაურ კლუბში! მერე რა გაწრთვნილები! ისე დახტიან „ზაბორებზე“, სტოლებზე, როგორც რწყილი... ძაღლებსაც საკუთარი სტარშინა ჰყავთ ვიღაც პავა. ისე ყავს გაწვრთნილი, როგორც ადამიანი. მაგალითად, ზიხარ სუფრაზე და ვახშობ. საკმარისია პავამ ერთი დაუწრუწუნოს და დაიძახოს „allez“, ისე გადაგვევლება თავზე ძაღლი სუფრას, მის გარშემო მდგომს, რომ ფეხს არ მოგაკა-

რებს. ტფილისის ქართული კლუბი ხომ კატებითაა განთქმული, მაგრამ ნუკი გეწყინება, ძმაო, ჩვენი ძაღლები სჯობია! აბა, რა შედარებაა!

მაგრამ ბაქარის ოთახში რომ სიმხიარულეა, იმასთან ყველა დანარჩენი გასართობები მონაგონია! რვიანი რომ ხელში გყავს, ისე გამოგიძრობს ცხრიანს,—ხახა დაღებული დარჩები! თუ უცაბედათ ცხრიანი მოგხვდა ხელში,—გაგიბითურებს და თითონ რვიანს გადაგიშლის!.. სერია! კიდევ ყოფილა რალაცა „მაზუნების ბრანდერები“, თუ „ბრანდერების მაზუნები“! იცი, როგორ არის? მარა მგონია ქე იცი! შენც ქე გიყვარს ხანდახან ჩაკარტოჟნიკება... დედა, რაც მე იმაზე ვიცინე! . ჰო და ეს „ბრანდერი“ უცხო სიტყვა უნდა იყოს... როცა წაამაზებს, თუ წაგო, ისე გაგებარება,—აქ ადამიანის ნასახი იყოვო, ვერ იტყვი... ჩვენებურათ ამას „გაპარიას“ ვეტყვით.

დილამდი იქ დავრჩი. ჯარიმა არ გადამიხდია ერთი ხვიშტი. როცა მამასახლისი შემოვიდა ჟურნალით ჯარიმების ჩასაწერად, ყველა გაიპარა...მეც თან გავყევი... მამასახლისმა მიიხედ-მოიხედა, არავინ იყო,—გაბრუნდა... ჩვენც შემოვიპარეთ და დავსხედით.

მეორე დღეს ქალაქში გამოვედი.

გავიხედე, ხალხი საითკენღაც მირბის.

ხალხი, მაგრამ რა ხალხი!

აუარება!.. დიდი, პატარა, ქალი, კაცი, მოხუცი და ახალგაზდა... ვაჭრებს მაღაზიები დაეკეტნათ, მოხელეთ სამსახურისათვის თავი დაენებებინათ, მოქეიფეთ ღვინით სავსე ბოთლები სუფრაზე მიეტოვებინათ, ქალებს ატირებული ბავშვები სახლებში დაეგდოთ და მირბოდნენ... მირბოდნენ და რალაცაზე გაცხარებით ბაასობდენ.

ვიკითხე—სად მიეშურებიან მეთქი?

— „დრამატიული საზოგადოების კრებაზე... გამგეობამ დაგვიბარა,—მომავალი სეზონის საკითხი უნდა გადავწყვიტოთ...

მეც ავედევნე.

შევედით დარბაზში. ვხედავ, სხედან გამგეობის ორი წევრი, სამი არტისტი, მიტროფანე და პავლე.

— ბ-ბო! დაიწყო გამგეობის ერთმა წევრმა. გული იხარის, რომ ქუთაისის ქართველ საზოგადოებას ასე აინტერესებს ქართული თეატრის ბედიბალი... ეს იქიდანა სჩანს, რომ დღევანდელი კრება ასე მრავალ-რიცხვოვანია...თუმცა ჩვენ აგვირჩიეს ერთხმათ: ზოგმა მიიღო სამი ხმა, ზოგმა—ორი, ზოგმაც—ერთი, უხმოთ არავინ აურჩევიათ... და მოგვანიჭეთ სრული უფლება გვეწარმოებინა სეზონის საქმეები, მაგრამ ჩვენ მაინც აპეკასა და მზრუნველობას დაჩვეულნი, მოგმართავთ შეკითხვით:—იყოს თუ არა წელს სეზონი ქუთაისში? თუმცა ფაქტიურად გამგეობა აღარ არსებობს, მაგრამ რაკი ღვთის მოწყალებით ფიზიკურად ჯერ ცოცხლები ვართ, საჭიროთ დავინახეთ ამ კითხვით მოგმართოთ...

იგრიალა სამმა ტაშმა და დაგრგვინა სამმა ხმამ: „იყოს! იყოს!“

— ბ-ბო! დაიწყო მეორე წევრმა. საზოგადოებამ უმრავლესობით გადასწყვიტა სეზონი იყოს, მაგრამ ნუ აჰყვებით გრძნობას, ნუ აჩქარდებით, დაუცადოთ პეტრეს! საცაა მოვა და თავის აზრს გაგვიზიარებს.

ამის გაგონებაზე ყველას ხმა ჩაუწყდა.

ვინ უნდა იყოს ასეთი რისხვა, პეტრე მეთქი, ვიფიქრე და უნებლიეთ კარებისკენ მივიხედე.

შემოვიდა პეტრე.

იცი ვინ არის ეს პეტრე? როგორ არ გაგიგონია, კაცო? აი, სარაჯიშვილთან ღვინის მკეთებელათ რომ იყო... რა ვიცი, რალაცეებზე ჭორაობენ: ღვინოები გაუფუჭდაო, თუ... ერთი სიტყვით, ავყია კაცები ამბობენ... ხომ იცი, მაგისთანა გამოჩენილ კაცს მტერი ბევრი ჰავს... რა ვიცი, ძმაო, რომ შევხედე, შემეშინდა. ისეთია ჟინჟღილივით... რუმბივით მუცელი ჰკიდია და სარაჯიშვილის ფულებით გასუქებული მე ჯერ არავინ მინახავს! ამბობენ, იმ საქმის გამო ტფილისშიაც ვერ ჩადის სირცხვილითო, მაგრამ აქ, ქუთაისში ვინ რა იცის?!. ამ სიშორეზე ვინ რას გაიგებს რომ გაიგონ კიდეც, რაში ეკითხებათ ქუთაისლებს, რომ ამისთანა დიდი საქმე დაღუპა პეტრემ. . თუ რამე ჩაიდინა იქვე დასტოვა... შენ ისა სთქვი, შეხედულობა ჰქონდეს კაცს რიხიანი, თორემ იმის ზნეობრივ მხარესთან რა საქმე გაქვს!.. ამიტომაც არის, რომ აქა პეტრეს ხელის გულზე ატარებენ... მთელი ქუთაისის ღერძი პეტრეა... მთელი ინტელიგენცია მის გრძელ წვერებზე ტრიალებს! თუ ბედმა ავტონომია მოგვანიჭა, მე შენ გითხრა არა გვყავს საპრეზიდენტო კაცი! მარა, ამას შენებურათ ნუკი გამოაჭენებ საქვეყნოთ!.. ამას საიდულოთ გწერ და ჩვენს შორის უნდა დარჩეს...

ჰო და შემოვიდა პეტრე.

ყველამ სული განაბეს და პირში მიაჩერდენ.

— რას მიედებ-მოედებით! რას მიჰქარავთ? რის სეზონი, რა ცირკი, რის კომედია?!. სამშობლო განსაცდელშია! ჯან ლონით სავსე ინტელიგენციამ, ათმა კაცმა უნდა იშრომოთ, ჩვენ შეგვაწუხოთ, ჯიბიდან ფულები ამოგვაცაცოთ, რომ ეს მშიერი არტისტები დააძღოთ? განა ცოტა საქმეა, რომ ამ ჯამბაზებზე არ დახარჯოთ თქვენი ენერგია?. ქვეყანა ილუპება! ერი გადაგვარების გზაზე დგას, ხალხი შიმშილით იხოცება! იშრომეთ სამშობლოსათვის და არა გასართობებისთვის!.. მე თქვენი მუშაობა უნაყოფოთ მიმაჩნია და წინააღმდეგი ვარ!

გაფხვერილი პეტრე კრებიდან გავიდა.

„ვაშა! ვაშა! მიაძახეს ზურგში.

— ბ-ბო! სეზონი აღარ იქნება! კრება დახურულია!

კრება დაიშალა.

ამ რიგად ქუთაისში სეზონი აღარ იქნება. თუმცა გამგეობის წევრები არსებობენ: სვამენ, სჭამენ, კლუბში დადიან, ქალალდს თამაშობენ... მაგრამ გამგეობა მაინც აღარ არსებობს... არსებობს მხოლოდ **გუცა**!..

ასე დასრულდა, ძმაო ეშმაკო, ერთი კვირის ჩემი მოგზაურობა.

იცოდე ამას საიდუმლოთ გწერ და თუ შენი არ დაგიშლია და გამოგიქვეყნებია, შენგან ნაბოძები კუდი იყოს ძაღლის... კუდი, თუ კვლავ ერთი სიტყვა მოგწერო.

შენი კუდი.

ჯოხი

ჭიათურა. ხელ ცოცხალს. წავიკითხეთ თქვენი წერილი „ჩემი გასაჭირი“ და უნდა გამოგიტყდეთ ნაკლები გასაჭირი არც ჩვენ გამოგვივლია მის წაკითხვაზე.

—

ბ-ნ კიდევ მოგწერს: როცა თქვენი ლექსის ბოლოზე ეშმაკმა ფსევდონიმი „კიდევ მოგწერ“ ამოიკითხა. გული შეუწუხდა და კინაღამ სული განუტევა. ნუ დაგვღუპავთ, კიდევ ნული მოგვწერთ.

მ. ქორელი.



მასწავლებელი. ძიძიკაშვილო, განაგრძე შენი როლი... რაო? გაკვეთილი გათავდაო!.. ჩამოუშვით ფარდა! ფარდა, ჩქარა!

ნებადართ. ფაენი ცენზორისაგან. სტამბა „შრომა“. რედაქტ.-გამომცემელი თეოფილე ბოლქვაძე.